



სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დანართი №1

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის შედარებითი კვლევები Georgian Literature and Comparative Literary Studies
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრი Master of Comparative Literary Studies
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, საიდანაც 90 ECTS კრედიტი ეთმობა სპეციალობის თეორიული დისციპლინების ათვისებას (მათ შორის 20 ECTS კრედიტი - არჩევით კურსებს), 30 ECTS კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას.
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები	ნანა ტრაპაიძე, ბსუ-ის ასოცირებული პროფესორი რამაზ ხალვაში, ბსუ-ის პროფესორი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ¹	<p>პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული საერთო სამაგისტრო გამოცდების, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის #111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად.</p> <p>ასევე ბსუ-ს მიერ დადგენილი შიგა გამოცდების საფუძველზე. ბსუ-ს მიერ დადგენილია ორი გამოცდის ჩაბარება: 1. სპეციალობაში და 2. უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) - B2 დონე.</p> <p><u>წერთი გამოცდა სპეციალობაში ტარდება კომბინირებული სახით, თეორიული საკითხები და ტესტი. ტესტი შედგება ღია და დახურული კითხვებისაგან</u> და მოიცავს ქართული და საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიისა და ლიტერატურის თეორიის საკითხებს.</p>

1

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ №127 ბრძანების შესაბამისად. დოქტორანტურაში მიღების წესი რეგულირდება შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით.

	<p>მაგისტრატურაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სწავლის უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომელთაც მოპოვებული აქვთ უმაღლესი განათლების მიღების უფლება იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, რომელშიც მიღებული აქვთ საშუალო ან მისი ეკვივალენტური განათლება.</p> <p>ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე აბიტურიენტების, სტუდენტების ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის <u>№224/ნ ბრძანების</u> შესაბამისად.</p> <p>„ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის შედარებითი კვლევების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია შიდა ან გარე მობილობის (გადმოყვანის) წესით სტუდენტთა ჩარიცხვა. პროგრამაზე ჩარიცხვისა და დაშვების წინაპირობის შესახებ აუცილებელი ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ასევე საინფორმაციო ბუკლეტებიდან და ღია კარის დღეების დროს საინფორმაციო/საორიენტაციო შეხვედრებზე.</p>
<p>პროგრამის კონცეფცია</p>	<p>პროგრამამ, ჩვენი ხედვის და კონცეფციის შესაბამისად, უნდა უპასუხოს ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე გამოწვევებს და შექმნას ბსუ-ში ლიტერატურული ველის აკადემიურ სივრცეში მოქცევისა და შესწავლის სისტემური ხასიათის გამოცდილება. ეს წარმოგვიდგენია მკვლევრების, მწერლების, მთარგმნელებისა და გამომცემლობების კოლაბორაციის სახით თემატური კონფერენციების, სიმპოზიუმებისა თუ სემინარების ფორმატში. ასევე ამ პროცესის გატანა ქვეყნის ფარგლებს გარეთ და უცხოური გამოცდილებების გაზიარება.</p> <p>აღნიშნული აქტივობების მიზანია ქართული ლიტერატურის ინტერნაციონალიზაციის პროცესში აკადემიური სფეროს აქტიური მონაწილეობა, რაც მეტ შესაძლებლობას შექმნის მარკეტინგული და კულტურული ინტერესების დაბალანსებისთვის. ამ მხრივ, ღირებულებითი მდგენის როლი სწორედ საუნივერსიტეტო კვლევით-აკადემიურმა ფუნქციამ უნდა შეასრულოს. რაც, ერთი მხრივ, გულისხმობს უნივერსიტეტის მისიის განხორციელებას, - აქტიურად იყოს ჩართული საზოგადოებრივ პროცესებში, მეორე მხრივ, თაობათა შორის კულტურული უწყვეტობისა და დიალოგის რეალურ და აუცილებელ შესაძლებლობას. ისიც აღსანიშნავია, რომ აკადემიური სფერო ხასიათდება სისტემურობით და არა სპორადულობით, რაც ასე დამახასიათებელია ლიტერატურული ველის თვითორგანიზებადი ბუნებისთვისაც და მისი მოხალისე აქტორებისთვის.</p> <p>კომპლექსური ცოდნის საფუძველზე (რასაც სტუდენტს პროგრამა სთავაზობს) მაგისტრანტმა უნდა გააცნობიეროს ქართული ლიტერატურის ადგილი და როლი ლიტერატურის ისტორიაში და თანამედროვე გლობალურ ლიტერატურულ პროცესში; სიღრმისეულად შეისწავლოს და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოიყენოს თანამედროვე კრიტიკული თეორიები და მეთოდოლოგიები, რაც მოიცავს</p>

კომპარატივისტიკას, ნარატოლოგიას, პოსტსტრუქტურალიზმს, პოსტმოდერნიზმს, სემიოტიკას, ფსიქონალიზს, რეცეფციულ კრიტიკას, დეკონსტრუქციას, ინფორმაციულ ანალიზს. თეორიული ცოდნის თავისთავადი მნიშვნელობის გარდა, გააცნობიეროს, თუ როგორ ხდებოდა ცნებებისა და ტერმინოლოგიური აპარატის ჩამოყალიბება და ტრანსფორმაცია ესთეტიკური, პოლიტიკური და სოციალური დისკურსების კონტექსტში; საფუძვლიანად გაერკვნენ კვლევის განსხვავებული მეთოდოლოგიური სისტემების სტრუქტურაში; გამოიმუშაონ რელევანტური მეთოდებით ოპერირების პროფესიულ უნარები.

პროგრამის აქტუალობა განპირობებულია როგორც ისტორიულად გაფორმებული ქართული ლიტერატურული ცხოვრების (მისი კულტურული წყაროების, გარე და შიდა გავლენის სფეროების, ისტორიულ-პოლიტიკური ფაქტორების კულტურული როლის) ხელახალი წაკითხვისა და თანამედროვე ლიტერატურული პროცესის აკადემიური კვლევის აუცილებლობით, ისე ქართული ლიტერატურის საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციის პროცესით, რომელიც ბოლო ოცდაათი წელია მეტ-ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობს და თავის თავში გულისხმობს ლიტერატურათმორის ურთიერთობებს, როგორც კულტურათმორის ურთიერთობის უაღრესად მნიშვნელოვან ნაწილს.

პროგრამის აქტუალობას განსაზღვრავს კულტურული ველის სამი მნიშვნელოვანი კომპონენტის - ორიგინალური მხატვრული სამყაროს, თარგმანების და კვლევითი სფეროს, ერთი მხრივ, შინაგანი კავშირი და, მეორე მხრივ, მათი საზოგადოებრივი რეზონანსი და მნიშვნელობა. უკეთ რომ ვთქვათ, - სოციოლოგიური კონტექსტი. ფაქტია, რომ ლიტერატურული სამყაროს გაგება კარგა ხანია გაცდენილია მხატვრული რეალობის ავტონომიურ ფარგლებს და იგი ადამიანური ყოფის სხვადასხვა განზომილების აღწერისა და პრობლემატიზების ფორმად მიიჩნევა. ამიტომ ქართული ლიტერატურა და ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევა, წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის იდეისა და კურიკულუმის კონტექსტში, ამ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია, როგორც გლობალურ სივრცეში ქართული ლიტერატურული პროცესების რადიუსის შესწავლისა და კრიტიკული განსჯის უმნიშვნელოვანესი და ცოცხალი ადგილი.

პროგრამის კონცეფციის ნაწილია მისი სტრუქტურა რომელიც აგებულია მოდულური სისტემით, მოდულური სწავლების მიზანია, პროგრამა იყოს მოქნილი როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და პროგრამის ხელმძღვანელებისთვის მისი ეფექტიანი ადმინისტრირებისა და სამომავლო განვითარებისათვის.

I. სამაგისტრო პროგრამის - „ქართული ლიტერატურისა და შედარებითი ლიტერატურული კვლევების“ - კონცეფციას საფუძვლად უდევს განმახორციელებელი გუნდის მრავალწლიანი აკადემიურ-პედაგოგიური საქმიანობა, რომლებიც თავის დროზე კონკრეტული გამოწვევისა და შესაძლებლობის შედეგები იყო, დღესდღეობით კი, გამოიკვეთა, რომ ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდა წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის განსახორციელებლად. ვფიქრობთ, რომ აკადემიური პროცესისთვის თვითორგანიზების მახასიათებელი ის ინდიკატორია, რომლითაც პროცესის ხასიათი, პათოსი და მიდგომა შეიძლება

შეფასდეს.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის, ევროპესტიკისა და სლავისტიკის დეპარტამენტების წევრების აკადემიური და კვლევითი საქმიანობა, მართალია, ერთიანი საუნივერსიტეტო პროცესის ნაწილია, მაგრამ საჭიროებს სისტემურ კორელაციას და მათ შორის არსებული კავშირების დაფუძნებას იდეაზე, რომელიც თითოეული სფეროს განვითარებას მხოლოდ ხელს შეუწყობს და ახალ ორიენტირს მისცემს. ასეთი გამაერთიანებელი როლი კი ითამაშა შემდეგმა ფაქტორებმა. მოკლედ, რამდენიმეს შესახებ:

1. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო წელს დაფუძნდა „ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურული პროცესების კვლევის სეზონური სკოლა. სკოლის იდეის ავტორი და ორგანიზატორი იყო ბსუ-ის ასოცირებული პროფესორი, ლიტერატურის კრიტიკოსი, წინამდებარე პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელი - ნანა ტრაპაიძე.

2. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის წინმსწრებ იდეურ-აკადემიურ სამუშაოდ უნდა ჩათვალოს ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ნანა ტრაპაიძის მიერ 2014 წელს დაარსებული „ლიტერატურული კლუბი“, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს (პანდემიის ხელისშემშლელი პერიოდის გამოკლებით). კლუბში 2014 წლიდან 2019 წლის ჩათვლით აქტიურად იმართებოდა ლექცია-სემინარები და არაფორმალური განათლების ფორმატით საკვირაო სამუშაო შეხვედრები კლუბის ხელმძღვანელი და შეხვედრების ორგანიზატორი ასოც. პროფ. ნანა ტრაპაიძე. „ლიტერატურული კლუბის“ მუშაობა გადმოცემულია „ლიტერატურული კლუბის მასალებში“, რომელიც ბსუ-ის გამომცემლობამ გამოსცა 2019 წელს

3. პროგრამის ხელმძღვანელის, რამაზ ხალვაშის სამეცნიერო-აკადემიური საქმიანობაში განსაკუთრებით გამოსაყოფია დიგიტალური ჰუმანიტარიის საზაფხულო სკოლის მრავალწლიანი საქმიანობა ბსუ-ში. კერძოდ, ბათუმის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „დიგიტალური ჰუმანიტარია, ენისა და კულტურის ელექტრონული დოკუმენტაცია“ - აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გრანტი (2015, 2016, 2017, 2018, 2019, 2020, 2021 წ.).

4. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში ჩართულნი არიან ახალი წევრები, ბსუ-ის ახალი სახეები და მოწვეული პირები. ამ თვალსაზრისით გამოვყოფდით ასისტენტ პროფესორს მარი კორინთელს, რომელიც მიმდინარე წელს ხელმძღვანელობდა „ოდესის ლიტერატურულ ფესტივალს“ ბათუმში. ის არის ასევე გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“ მფლობელი და ამ თვალსაზრისით მისი გამოცდილება მოდულთაშორისი კავშირის (ლიტერატურის კრიტიკა და სოციოლოგია) თვალსაზრისით განსაკუთრებით ღირებულია.

5. წარმოდგენილ პროგრამაში მოწვეულის სტატუსით ჩართულია ლიტერატურის კრიტიკოსი, ჟურნალ „არილის“ რედაქტორი ლექსო დორეული, რაც სტიმულს მისცემს სტუდენტებს კვლევით სფეროში აქტიური ჩართვისათვის, რადგან ჟურნალ „არილის“ ერთ-ერთი ფუნქცია სწორედ ახალგაზრდა ლიტერატორების გამოვლენა და მათთვის ფართო ასპარეზის შექმნაა. ამ მხრივ „არილში“ თანამშრომლობის გამოცდილება უკვე აქვს ბსუ-ს კურსდამთავრებულებს, რომლებსაც ეს საშუალება მიეცათ ლექსო დორეულის არაფორმალური განათლების ფორმატით გაცნობისას.

დაბოლოს, აღვნიშნავთ, რომ პროგრამის მიზანია, არ იყოს აკადემიურად ჩაკეტილი, ხოლო მისი საქმიანობის შედეგები საზოგადოებრივად უმნიშვნელო ან მიუწვდომელი. ვფიქრობ, იდეისა და პროცესის სოციალიზაციის თვალსაზრისით პროგრამა გამორჩეულია და, ამ მხრივ, მას განვითარების სამომავლო იდეური რესურსიც და პრაქტიკული შესაძლებლობა აქვს.

II. მოკლედ წარმოვადგენთ პროგრამის სტრუქტურას, რომელიც პროგრამის ადმინისტრირებისა და სტუდენტის ორიენტაციის გამარტივებისთვის მოდულური პრინციპით ავაგეთ და შედგება ხუთი მოდულისაგან:

I. ლიტერატურის თეორიისა და კრიტიკის მოდული (ხელმძ. ასოც. პროფ. ნანა ტრაპაიძე)

ძირითადი საგნები:

1. ლიტერატურის წაკითხვის კრიტიკული ტრადიციები დასავლეთში და თანამედროვე კრიტიკული თეორიები - ასოც. პროფ. ნ. ტრაპაიძე
2. ლიტერატურის სოციოლოგია - ასოც. პროფ. ნ. ტრაპაიძე
3. პოსტკოლონიური თეორიები და ქართული ტექსტი - ასოც. პროფ. ხ. ბერიძე
4. ნიცშე და მე-20 საუკუნის ტექსტის თეორიები - დოქტ. მ. ცეცხლაძე
5. ქართული კრიტიკის ძირითადი დისკურსები მე-20 საუკუნის 20-იან წლებში - პროფ. მ. ჩოხარაძე
6. მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული რომანის პოეტიკა - პროფ. შ. მახაჭაძე
7. მე-20 საუკუნის პუბლიცისტიკა და ესეისტიკა - ასოც. პროფ. ი. შამილიძე
8. ბორხესი - ტექსტის ინტერპეტაცია (პრაქტიკული კურსი) - (მოწვეული) დოქტორანტი ლ. დორეული

მოდულის მიზანია კრიტიკულ-თეორიულ ცოდნის გაღრმავება; კვლევებისთვის მეთოდოლოგიური საფუძვლების მომზადება; ლიტერატურული ტექსტის აკადემიური კვლევისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების გაფართოება; კვლევისთვის საჭირო მეთოდოლოგიური რელევანტურობის გააზრება;

მოდულის შინაარსი არის მე-20 საუკუნეში შექმნილი კრიტიკულ-თეორიული კორპუსების შესახებ არსებული მეცნიერული ცოდნა, ამ ცოდნის ფილოსოფიური წყაროების შესახებ ცოდნის გაღრმავება და მხატვრული ტექსტების კვლევის გამოცდილებების გაცნობა-შესწავლა;

მოდულის შინაარსს ქმნის პოსტკოლონიური თეორიებისა და ქართული მხატვრული ტექსტების საკითხი. გამომდინარე იქედან, რომ ქართული ლიტერატურა პოსტსაბჭოთა ლიტერატურების ნაწილია, ხოლო კულტურის გლობალიზაცია ახალ კითხვებსა და გამოწვევებს სვამს მსოფლიო გლობალური წესრიგის თვალსაზრისით, ამდენად, პოსტკოლონიური თეორიების ჭრილში ქართული ლიტერატურის აკადემიური წაკითხვა მნიშვნელოვანი და აქტუალურია სამომავლო კვლევების თვალსაზრისით. მოდულის შინაარსში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლიტერატურის სოციოლოგიის კურსს, რომელიც ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე ხასიათსა და მის პერსპექტივას გააცნობს სტუდენტს; მისცემს საფუძველს, კრიტიკულად გაიაზროს

ლიტერატურის სოციალიზაციის თავისებურება, ლიტერატურისა და საზოგადოების, იდეოლოგიის, სოციალური გარემოს ურთიერთმიმართების საკითხი.

მოდულის არჩევითი საგანი - „ბორხესი და ტექსტის ინტერპრეტაცია“ (პრაქტიკული კურსი) მნიშვნელოვნად მონაწილეობს მოდულის შინაარსის შექმნაში: არა მხოლოდ გააფართოვებს სტუდენტის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, არამედ გაუღმავებს თეორიულ ცოდნასა და კრიტიკული აზროვნების უნარს. ამ კურსით სტუდენტი კონკრეტულ ავტორზე, კონკრეტულ ტექსტზე დაკვირვებით გაიღრმავებს აკადემიური რეცეფციის სპეციფიკის შესახებ ცოდნას.

II. ქართული ლიტერატურის მოდული (ხელმძ. - ასოც. პროფ. მ. ჩოხარაძე)
ძირითადი საგნები:

1. ინტერტექსტუალური შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში - პროფ. რ. ხალვაში;
 2. მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ინტერტექსტუალური ანალიზი - ასოც. პროფ. გ. ბახტაძე;
 3. ქართული საბჭოთა რომანი - დოქტ. მ. კორინთელი;
 4. მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ქართული მწერლობა და მიმდინარე ლიტერატურული პროცესი - ასოც. პროფ. ნ. ტრაპაძე
- არჩევითი საგნები:

5. „ვეფხისტყაოსნის“ ინტერტექსტი - პროფ. რ. ხალვაში;
6. ქართული ურბანული პოეზია (მე-19 საუკუნე და მე-20 საუკუნის დასაწყისი) - დოქტ. ა. კაშია;
7. აკრძალული ლიტერატურა - დოქტ. მ. კორინთელი
8. საბჭოთა პერიოდის ქართული „მაგისტრალური“ და „მარგინალური“ პოეზია (მე-20 საუკუნის 60-იანებიდან 90-იანებამდე) - ასოც. პროფ. ნ. ტრაპაძე;

მოდულის მიზანია ქართული ლიტერატურის ისტორიის შესახებ ცოდნის გაღრმავება. მისი წარსულის, დღევანდელი სიღრმისეული შესწავლა; ქართული ლიტერატურის ინტერტექსტუალური ანალიზი კულტურათა დიალოგის, ლიტერატურული გავლენისა და ნაციონალური იდენტობის კონტექსტში; ლიტერატურის ჟანრული ევოლუციის პოლიტიკური კონტექსტის პრობლემატიზება საბჭოთა რომანის შესწავლის კვალდაკვალ; ლიტერატურული ტენდენციების გააზრება მიმდინარე ლიტერატურული პროცესის პერსპექტივიდან, ესთეტიკური კრიზისისა და თანამედროვე მკითხველის თავისებურების პრობლემატიზება კულტურულ-ისტორიული, სოციოლოგიური და მხატვრულ-ესთეტიკური ჭრილის მიხედვით; ლიტერატურული კანონის პოლიტიკური ხასიათისა და ესთეტიკური იდენტობის საკითხის გაცნობიერება, პოლიტიკისა და მწერლობის კონფლიქტის ისტორიული გამოცდილების შესწავლა; მოდულის შინაარსი მოიცავს ქართული ლიტერატურის როგორც ცნობილ, ისე ნაკლებად შესწავლილ ნაწილს. ლიტერატურის ისტორია დაკავშირებულია მხატვრული დიალოგისა და კულტურულ-პოლიტიკური გავლენის საკითხებთან. მოდულის არჩევითი ნაწილი ემსახურება ძირითად ნაწილში წარმოდგენილი ლიტერატურის ისტორიის კონკრეტული პერიოდების თემატიზებას მოდულის მიზნების კონტექსტში.

III. ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების მოდული (ხელმძ. დოქტ. მარი კორინთელი)

ძირითადი საგნები:

1. ბიზანტიური ლიტერატურული კონტექსტი და შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურა - პროფ. მ. გიორგაძე;
2. ქართული მოდერნიზმი და დასავლური მოდერნისტული კონტექსტი - პროფ. შ. მახაჭაძე;
3. ქართულ-სლავური ლიტერატურული ურთიერთობები - ასოც. პროფ. ნ. ქაჯაია;
4. ახლო აღმოსავლეთი და ქართული საერო მწერლობა - დოქტ. ა. კაშია;
5. ქართული მოდერნიზმი და დასავლური მოდერნისტული კონტექსტი - შ. მახაჭაძე;
6. ქართული და ევრო-ამერიკული ლიტერატურული ურთიერთობები (ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა) - ასოც. პროფ. თ. დავითაძე

არჩევითი საგნები

7. ფაუსტური პარადიგმები - გერმანულ-ქართული ლიტერატურა შედარებით კონტექსტში - ასოც. პროფ. თ. ბერიძე
8. „ევროპეიზმი“ და ქართული ლიტერატურა(არჩევითი) - ასოც. პროფ. მ. სიორიძე

დიადი წიგნები:

9. ჰომეროსის პოემები - პროფ. მ. გიორგაძე
10. „ღვთაებრივი კომედია“ - ასოც. პროფ. თამილა დავითაძე
11. „დონ კიხოტი“ - ასოც. პროფ. მარინა სიორიძე
12. „ულისე“ - პროფ. თ. სირაძე
13. „ემმაკნი“ - ასოც. პროფ. ნ. ქაჯაია

მოდულის მიზანია ქართულ-საზღვარგარეთული ურთიერთობების შესახებ ცოდნის გაფართოება და ამ ურთიერთობების გეოგრაფიისა და ხასიათის ღრმა გაცნობიერება. მოდული მოიცავს არა მხოლოდ ქართულ-დასავლურ, არამედ ქართულ-აღმოსავლურ და ქართულ-სლავურ ლიტერატურულ ურთიერთობებს. ეს კი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ წარსულის, არამედ მომავლის კულტურული დიალოგის შესაძლებლობების განსაზღვრისათვის, ჩვენი კულტურულ-პოლიტიკური არჩევანის გაცნობიერებისათვის როგორც წარსულის, ისე მომავლის პერსპექტივიდან.

მოდულის შინაარსი გულისხმობს ქართულ-საზღვარგარეთული ურთიერთობების ფაქტობრივი მასალის შესწავლას, მათ შედარებითი ანალიზისთვის საჭირო ცოდნის გაღრმავებას.

არჩევითი ნაწილი ძირითად კურსებში მოპოვებული ცოდნის გაღრმავებისთვის არის განკუთვნილი. დასავლური ლიტერატურული კლასიკის როლის ზეპირსიტყვიერი და საყოველთაო აღიარება ლიტერატურული პროცესების შესწავლისათვის, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. როგორც ძირითად ნაწილში წარმოდგენილი კურსების გაგრძელება, ისინი ემსახურება, ერთი მხრივ, ამ ტექსტების თავისთავადი მნიშვნელობის მიზეზების სიღრმისეულ შესწავლას, მეორე მხრივ კი, მათი „ესთეტიკური კლასის“ თვალთახედვის არეში მუდმივად

ქონასა და მათი ესთეტიკური გავლენის ზონის ობიექტურ ცოდნას.

„დიადი წიგნების“ ბლოკი კი კლასიკური პოეტიკის უფრო სიღრმისეულ და სკრუპულოზურ შესწავლას გულისხმობს, რაც ინტელექტუალურად გააღრმავებს და ინფორმაციულად გაამდიდრებს კლასიკური და პოსტკლასიკური პოეტიკის შედარებით ანალიზს.

ამასთან, მოდულის შინაარსი ორგანულადაა დაკავშირებული თეორიის მოდულთან. ეს კი ინტეგრირებული კვლევებისთვის, ასევე პედაგოგიურ საქმიანობაში ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის განუყოფლობის ცოდნის თვალსაზრისით, გამოსადეგია იდეური და პრაქტიკული თვალსაზრისით.

IV. ფოლკლორისტიკისა და მითოლოგიის მოდული (ხელმძ. პროფ. მარინა გიორგაძე)

ძირითადი საგნები:

1. შედარებითი მითოლოგია - (მოწვეული) ასოც. პროფ. ხ. თავდგირიძე
2. ქართული მწერლობა და ფოლკლორი - პროფ. თ. შიოშვილი

არჩევითი საგნები:

3. პოლიტიკური მითოლოგია - (მოწვეული) ხ. თავდგირიძე

მოდული მიზნია ფოლკლორისა და საავტორო ლიტერატურის მიმართების სიღრმისეული შესწავლა, მათი ურთიერთგავლენის კვლევა ლიტერატურული და კულტუროლოგიური თვალსაზრისით. ეს სტუდენტს დაეხმარება ლიტერატურის უნივერსალური და დროითი მახასიათებლის უკეთ გააზრებაში. გარდა ამისა, „ლიტერატურის აღსასრულის“ აქტუალურ თემასაც მისცემს ცოდნის საფუძველს, რადგან აღსასრულის შესახებ ვარაუდები, დასაწყისის შესახებ ცოდნას ითხოვს და ყოველგვარი დასასრულიც, ძირითადად, დასაწყისს ჰგავს.

ასევე მოდულის მიზანია აზროვნების უძველესი წესის - მითოსური საწყისის შესწავლა შედარებითი პერსპექტივიდან, სხვადასხვა კულტურების მითოსური ცნობიერების შედარების მიხედვით. მითოლოგიური აზროვნების უნივერსალური მახასიათებლების გააზრება და ამოცნობა აზროვნების თანამედროვე ფორმებში და სფეროებში.

მოდულის შინაარსი მოიცავს ლიტერატურის ისტორიის არაოფიციალურ ნაწილს, რომლის შესწავლაც ფოლკლორისტიკას უკავშირდება. მოდულში მოცემული კურსები შესაძლებლობას იძლევა ლიტერატურის ისტორიის შინაგანი კავშირის, ხალხური და ინდივიდუალური აზროვნების შეპირისპირებისათვის საჭირო ფაქტოლოგიური ცოდნის სიღრმისეული დაუფლებისათვის. „შედარებითი მითოლოგია“ მონიშნავს აზროვნების უძველესი ფორმების გეოგრაფიასა და მისი გავლენის დიაპაზონს.

არჩევითი კურსი მიზნად ისახავს ძირითადი კურსების როგორც ცოდნის, ისე კონტექსტის გაღრმავებას. აქ სტუდენტი შეისწავლის აზროვნების არქეტიპული მოდელებს, რომლებიც უკვდავნი აღმოჩნდნენ არა მარტო მხატვრული სამყაროსთვის, არამედ პოლიტიკური ველის მაორგანიზებელიც არიან. ამიტომ თანამედროვე სამყაროს პოლიტიკური მოწყობის სიმბოლურ-არქეტიპული შრეების ანალიზი მაგისტრანტს საშუალებას მისცემს კარგად ერკვეოდეს კულტურის ფესვების, მისი განვითარების საკითხებში, ასევე საზოგადოებრივ-პოლიტიკური წესრიგის მექანიზმზეც ჰქონდეს ინტელექტუალური წარმოდგენა.

	<p>V. სამეცნიერო კვლევების მოდული (ხელმძღვანელი: დოქტ. მინდია ცეცხლაძე)</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სამაგისტრო ნაშრომი 2. კვლევითი ნაშრომი 3. პრაქტიკული დავალებები 4. სემინარი <p>მოდული მიზანი. განსაკუთრებული ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ბოლო - „სამეცნიერო კვლევების მოდულზე“, რომელიც მოდულის ერთგვარ კონტრაპუნქტად წარმოგვიდგენია. მოდულის მიზანია სამაგისტრო პროგრამაში კვლევითი კომპონენტის გამოკვეთა და მისი თანმიმდევრული მონიტორინგის გამარტივება. აქვე ხაზს გავუსვამთ იმას, რომ პროგრამის მოდულური სისტემის ქმედითუნარიანობა დაკავშირებული გვაქვს აკადემიური პროცესის ორივე კომპონენტის - სწავლა-სწავლებისა და კვლევის განუყოფლობასთან. პროგრამის ხედვის ძირითადი კომპონენტი მათი განუყოფლობაა.</p> <p>სწავლა-სწავლების მიმართულებით მოდულის ამოცანაა, ერთი მხრივ, შეფასების ფორმების (რაც გაწერილია სილაბუსებში) და, მეორე მხრივ, პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობაზე დაკვირვება და შემდგომ მისი ანალიზი პროგრამის განმახორციელებელი გუნდის ფარგლებში. იგულისხმება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განმახორციელებელი გუნდის სპეციალური სხდომის მოწვევა ან/და გუნდის წევრთან გასაუბრება მოდულის ხელმძღვანელის წერილობითი თუ ზეპირი მიმართვის საფუძველზე.</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<p>ლიტერატურის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია არა მარტო საზოგადოებრივ როლზე, აქტიურად იყოს ჩართული მის წაკითხვაში, არამედ ლიტერატურის აკადემიურ კვლევებზე, რომლის განვითარება დაკავშირებულია, ერთი მხრივ, ლიტერატურის ისტორიის ხელახალ წაკითხვაზე, მეორე მხრივ, წაკითხვისათვის საჭირო თეორიულ და მეთოდოლოგიურ ბაზისზე.</p> <p>ლიტერატურის კვლევების ფუნქციაც ამით განისაზღვრება, შეისწავლოს ლიტერატურის ისტორიისა და კულტურული აწმყოს კავშირი, მოახდინოს ტექსტების აქტუალიზაცია თანამედროვე კრიტიკულ დისკურსებში, განსაზღვროს ლიტერატურის სწავლება და მისი ხარისხი სასკოლო პედაგოგიკაში, მოაქციოს ქართული ლიტერატურა გლობალურ ლიტერატურულ სივრცეში და გააფართოვოს მისი კვლევის პერსპექტივები.</p> <p>აღნიშნულის უზრუნველსაყოფად „ქართული ლიტერატურა და შედარებითი ლიტერატურული კვლევების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მაგისტრანტს მისცეს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ქართულ ლიტერატურასა და ლიტერატურათმცოდნეობის ტრადიციულ და ახალ დარგებში, რათა წარმატებით განახორციელოს ცოდნის ტრანსფერი სწავლა-სწავლების პროცესში; 2. ლიტერატურის თანამედროვე მკვლევრის, კერძოდ, შედარებითი ლიტერატურის პროფილის მკვლევრის მომზადება, რომელსაც აქვს ცოდნა და უნარები ლიტერატურის ანალიზისა და კვლევისთვის. შეუძლია კულტურების, საზოგადოებრივი ჯგუფების ყოფის გააზრება მწერლობის პერსპექტივიდან და მისი შედარება სხვა კულტურულ სფეროთა (ისტორია, სოციოლოგია,

	<p>ეთნოლოგია, ფსიქოლოგია) მონაცემებთან.</p> <p>3. გამოუმუშაოს მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევები და მოამზადოს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის შექმნასთან დაკავშირებული რთული ამოცანების გადაჭრისთვის.</p> <p>4. მოამზადოს ფილოლოგიის თანამედროვე დარგებში კომპლექსური ცოდნით აღჭურვილი, მრავალმხრივ განვითარებული, თანამედროვე მოთხოვნებზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც შესწევს უნარი ღრმად და სისტემურად გაიაზროს და პრაქტიკაში გამოიყენოს შეძენილი ცოდნა; მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ინტერკულტურული დიალოგის განვითარებაში.</p> <p>5. განუვითაროს უწყვეტი განათლებისა და პროფესიული განვითარების, კონკურენციის გაწევის, ინოვაციებისთვის ღიაობის, ეთიკური ნორმების და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის, კულტურული და მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნების პატივისცემის უნარები.</p>
სწავლის შედეგები	პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს:
ა) ცოდნა და გაცნობიერება	<p>1. ავლენს ღრმა, სისტემურ ცოდნას ლიტერატურის ისტორიაში, თეორიასა და კრიტიკაში, რაც მოიცავს ლიტერატურის კვლევის ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდებს, სიღრმისეულად განიხილავს ლიტერატურული ურთიერთობებს და ტექსტებს აანალიზებს კომპლექსურად, შედარებით ჭრილში, მხატვრული და ფუნქციური ხასიათის მიხედვით, ლიტერატურის თეორიის, სოციოლოგიისა და აქსიოლოგიის კონტექსტში.</p> <p>2. საფუძვლიანად და კრიტიკულად იაზრებს ევროპული და ქართული ლიტერატურის მათგან განსხვავებულ კონტექსტებს, საფუძვლიანად განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემებს.</p> <p>3. მრავალმხრივ აანალიზებს რეალობისა და მხატვრული სამყაროს ურთიერთმიმართების პრობლემატიკას იდეოლოგიის, ლიტერატურის სოციალური ფუნქციისა და ესთეტიკური ღირებულების თვალსაზრისით. შეუძლია კულტურათშორის ურთიერთობებში ლიტერატურული კავშირების მნიშვნელობის გაცნობიერება და მისი მიზანმიმართული შესწავლა არქივებში, ბიბლიოთეკებში, კვლევით ცენტრებში.</p>
ბ) უნარები	<p>4. საფუძვლიანად მსჯელობს ქართული ლიტერატურის ისტორიასა და თანამედროვე თავისებურებებზე, მისი განვითარების მახასიათებლებზე, კულტურულ კონტექსტებზე, ლიტერატურათშორის ურთიერთობებზე და მათ განმაპირობებელ ფაქტორებზე;</p> <p>5. სიღრმისეულად ფლობს კვლევის მეთოდებს, შეუძლია მისი რელევანტურად და კომპლექსურად განსაზღვრა საკვლევი თემის მიხედვით. პრაქტიკულად იყენებს მეცნიერულ და კრიტიკულ ცოდნას, შეუძლია რთული ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემების სწორად დასმა და კრიტიკული ანალიზი;</p> <p>6. საფუძვლიანად აღწერს და ხსნის ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების სპეციფიკას. შეუძლია ლიტერატურული დიალოგის მნიშვნელობის განსაზღვრა ქართული სალიტერატურო პროცესის განვითარებაში.</p>

	<p>7. ავლენს პრობლემის გადაჭრის, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის, ეფექტიანი კომუნიკაციის, პრეზენტაციისა და ინტერაქციის უნარებს შესაბამისი გარემოს, კულტურათმორისი განსხვავებებისა და კულტურათა თავისებურებების გათვალისწინებით.</p> <p>8. შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის შემოქმედებითი სინთეზი.</p> <p>9. ეფექტიანად იყენებს ლიტერატურული ურთიერთობების კომპლექსური ანალიზის უნარს, შეუძლია კონტექსტის პრობლემატიზება და ლიტერატურული პროცესის თავისებურების ახსნა როგორც მხატვრული, ისე რეალობის პერსპექტივიდან.</p> <p>10. ქმნის აკადემიური სტანდარტების შესაბამის გამართულ და ორიგინალურ სამეცნიერო ნაშრომს; კვლევისას იყენებს სფეროს ძირითად მეთოდებსა და მიდგომებს, ითვალისწინებს თეორიულ დისკურსებს; მიზნობრივად სარგებლობს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, საბიბლიოთეკო და ელექტრონული რესურსებით; აყალიბებს ზეპირ და წერილობით დასკვნას და კვლევის შედეგებს წარუდგენს დარგის სპეციალისტებს და/ან არასპეციალისტებს.</p> <p>11. მონაწილეობს დარგობრივ დისკუსიაში, შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გამოყენებით.</p>
<p>გკპასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<p>12. ამჟღავნებს სწავლის დამოუკიდებლად წარმართვისა და სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებისა და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალ დონეს; შემოქმედებითად უდგება სამეცნიერო ნაშრომის შექმნას, იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს; აღიარებს უწყვეტი განათლების აუცილებლობას. ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, კვლევისა და მუშაობის უნარს, რითიც წვლილი შეაქვს დარგობრივი ცოდნისა და პროფესიული პრაქტიკის განვითარებაში.</p> <p>13. სხვადასხვა სასწავლო, საქმიან და საკვლევ გარემოში მუშაობს ინდივიდუალურად და გუნდურად, მათ შორის განსაზღვრულ ვადებსა და ინტენსიურ რეჟიმშიც; შეუძლია პროფესიული მომავლის განსაზღვრა და მართვა და ამისთვის სათანადო გეგმის შემუშავება; ჩართულია სამეცნიერო კონფერენციებისა და ფორუმების მუშაობაში. მონაწილეობს უნივერსიტეტის არაფორმალურ ცხოვრებაში, რომელიც ემსახურება ცოდნისა და სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარებას.</p> <p>14. ეყრდნობა ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მაღალ იდეებს; პატივს სცემს ქართულს, როგორც სახელმწიფო ენასა და უმცირესობათა ენებს; ზრუნავს ქართულ და დასავლურ კულტურულ მემკვიდრეობასა და ფასეულობებზე; იცავს თავისუფალი პიროვნების ქცევისადმი წაყენებულ პროფესიულ ეთიკურ სტანდარტებს და მოქმედებს ტოლერანტული მიდგომებით; ეთიკური ნორმების დაცვით კეთილსინდისიერად ახორციელებს პროფესიულ საქმიანობას.</p>

<p>სწავლება-სწავლის მეთოდები</p>	<ul style="list-style-type: none"> • ლექცია ✓ ახსნა და მსჯელობა ✓ დისკუსია ✓ აუდიო-ვიდეო მასალების გამოყენება; • პრაქტიკული მუშაობა ✓ სემინარი ✓ მასალის მოძიება და დამოუკიდებლად დამუშავება ✓ ჯგუფური დისკუსია/დებატები ✓ წიგნზე მუშაობის მეთოდი ✓ წერითი მუშაობის მეთოდი ✓ პრეზენტაცია ზეპირად და წერილობით, მათ შორის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ✓ აუდიო-ვიდეო მასალების გამოყენება; ✓ მოწვეული მომხსენებელი ✓ კურიკულუმს მიღმა აქტივობა • ელექტრონული სწავლება ✓ ინტერაქცია ✓ თანამშრომლობა ✓ მოწვეული მომხსენებელი
<p>შეფასების სისტემა</p>	<p>სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:</p> <p>ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;</p> <p>ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას;</p> <p>გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას.</p> <p>შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.</p> <p>დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; • ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; • კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; • დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; • საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. <p>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) ვერ ჩააბარა–მაქსიმალური შეფასების 41-50ქულა,რაც ნიშნავს,რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

- **(F)** ჩაიჭრა-მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღები შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით).

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება²

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - საჯარო დაცვაზე დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს

- რეცენზენტის შეფასება - მაქსიმუმ 40 ქულა
- კომისიის შეფასება - მაქსიმუმ 60 ქულა

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება შესაბამისი სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების/რუბრიკების მიხედვით. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება გამოითვლება კომისიის წევრების შეფასებათა საშუალო არითმეტიკულით.

სამაგისტრო ნაშრომმა შეიძლება მიიღოს დადებითი შეფასება (51-100 ქულის ფარგლებში) შემდეგი 5 სახის შეფასებიდან:

- ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

²მეტი ინფორმაციისთვის იხ. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი, ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის ოქმი №5 <https://bit.ly/37kjVms>

	<p>ე) (E) საკმარისი -51-60 ქულა. სამაგისტრო ნაშრომმა შეიძლება მიიღოს უარყოფითი შეფასება (0-50 ქულის ფარგლებში) შემდეგი 2 სახის შეფასებიდან: ა) (FX) ვერ ჩააბარა (41-50 ქულა), ასეთ შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი/სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარმოადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, დამატებითი ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე; ბ) (F) ჩაიჭრა (0-40 ქულა), ასეთ შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე სამაგისტრო ნაშრომის/სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.</p>
დასაქმების სფეროები	<p>პროგრამის ამოცანაა, გარდა პრაქტიკული პედაგოგიური თუ კვლევითი ინტერესების მქონე ლიტერატურათმცოდნის მომზადებისა, უზრუნველყოს ზოგადი ჰუმანიტარული განათლებისა და ინტელექტუალური უნარების მქონე სპეციალისტის მომზადებისთვის საჭირო ყველა აკადემიური პირობა, რათა კურსდამთავრებულმა შეძლოს დასაქმება ანალიტიკურ-კვლევით ჯგუფებში, განათლების/მეცნიერული უზრუნველყოფის მართვის ცენტრებში/ორგანოებში, პროფესიული განათლების შესაბამის ექსპერტ-კონსულტანტებად საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ხელისუფლების ორგანოებსა და კომერციულ სტრუქტურებში.</p> <p>სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს როგორც მკვლევარსა და სპეციალისტს მუშაობა შეეძლება:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ საგანმანათლებლო დაწესებულებებში; ✓ კვლევით ინსტიტუტებში; ✓ ბიბლიოთეკებში; ✓ საგამომცემლო ორგანიზაციებში, ✓ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში; ✓ რადიოსა და ტელევიზიაში რედაქტორად და კონსულტანტად; ✓ არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში ექსპერტად; ✓ მწერალთა სახლში რეცენზენტად და ლიტერატურულ აგენტად; ✓ რადიოსა და ტელევიზიაში გადაცემის ავტორად, კორესპოდენტად, კორექტორად ✓ ბექდურ მედიაში ჟურნალისტად
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	<p>უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის, ხოლო საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის უმაღლესი განათლების მეორე და მესამე საფეხურებზე სწავლის წლიურ საფასურს ადგენს უნივერსიტეტი, ფაკულტეტი ან პროგრამა მთავრობასთან შეთანხმებით.</p>
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	<p>ადამიანური რესურსი: პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 18 პირი (მათ შორის მოწვეული პერსონალი) მათგან 15 არის ბსუ-ს აკადემიური პერსონალი, ხოლო 3-ს მოწვეული პერსონალი, ბსუ-ს პროფესორები: 1. რამაზ ხალვაში (პროგრამის ხელმძღვანელი)</p>

2. მარინა გიორგაძე
3. თინა შიოშვილი
4. შორენა მახაჭაძე
5. მალხაზ ჩოხარაძე
6. ინგა შამილიშვილი
7. თამარ სირაძე

ბსუ-ს ასოცირებული პროფესორები:

8. ნანა ტრაპაიძე (პროგრამის ხელმძღვანელი)
9. გურამ ბახტაძე
10. ხათუნა ბერიძე
11. ნანა ქაჯაია
12. მარინა სიორიძე
13. თამილა დავითაძე
14. თეონა ბერიძე

ბსუ-ს ასისტენტ პროფესორები:

15. მარი კორინთელი

მოწვეული სპეციალისტები:

16. მინდია ცეცხლაძე - ფილოლოგიის დოქტორი
17. ხათუნა თავდგირიძე - ასოცირებული პროფესორი (გაუ, თბილისი)
18. ლექსო დორეული - დოქტორანტი (თავისუფალი უნივერსიტეტი)

მატერიალური რესურსი:

„ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის შედარებითი კვლევების“ სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ბსუ-ს): ელექტრონული სწავლების პორტალები; საბიბლიოთეკო რესურსი და ელექტრონული ბაზები, სასწავლო კომპიუტერული კლასები და ლაბორატორიები, სტუდენტური პორტალი <https://bsu.edu.ge/> ; <https://portal.bsu.edu.ge/>
- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- ბსუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა რომელიც მდებარეობს ნინოშვილის ქ.34, მეორე კორპუსში;
- საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის. უნივერსიტეტში

	<p>მაგისტრანტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ უფასო ინტერნეტით. უნივერსიტეტს წვდომა აქვს შემდეგ ძირითად საერთაშორისო ბაზებთან:</p> <ul style="list-style-type: none"> • Elsevier - www.elsevier.com; • sciencedirect- www.sciencedirect.com; • Scopus - www.scopus.com; • EBSCO და სხვა. ასევე, უნივერსიტეტს გააჩნია წვდომა კემბრიჯის სხვადასხვა მიმართულების ბაზებთან, ჩამონათვალი და მათზე ზოგადი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბსუ-ს ვებგვერდზე: https://www.bsu.edu.ge/sub-15/page/2-174/index.html • ბიბლიოთეკა იყენებს მართვის ინტეგრირებულ სისტემებს „Open Biblio“ და „KOHA“, რაც საშუალებას აძლევს მკითხველს დისტანციურად მონახოს და დაჯავშნოს მისთვის საინტერესო რესურსი; დამატებითი ინფორმაცია საბიბლიოთეკო რესურსების შესახებ იხილეთ ბმულზე - http://www.bsu.edu.ge/sub-15/page/2-237/index.html]. • ბსუ, როგორც ორგანიზაცია, დარეგისტრირებულია EURAXESS-ის პორტალზე შესაბამისად, უნივერსიტეტის სამეცნიერო და აკადემიურ პირებს აქვთ შესაძლებლობა დარეგისტრირდნენ EURAXESS ვებ. გვერდზე, რაც საშუალებას აძლევს მათ, რომ ჩაერთონ საერთაშორისო კონკურსებსა და პროექტებში მოიპოვონ დაფინანსება. • სასწავლო ლიტერატურისა და სხვა მასალის მოპოვებას სტუდენტი შეძლებს აგრეთვე ევროპისტიკის დეპარტამენტის ბიბლიოთეკაში. <p>პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა: ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის № 06 გადაწყვეტილების „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესის თაობაზე“, დასაქმების ბაზრის კვლევის, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსის გათვალისწინების საფუძველზე, ევროპული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტი განისაზღვრა 5 სტუდენტით.</p>
<p>პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა</p>	<p>იხ. დანართი - სამაგისტრო პროგრამის „ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის შედარებითი კვლევების“ ბიუჯეტი.</p>
<p>დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)</p>	